

საქართველოს კანონი

"საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე"

მუხლი 1. "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში /პარლამენტის უწყებანი, №1-2/33-34/, 22 იანვარი, 1997/ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2/ ეს კანონი ვრცელდება საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროების /მათ შორის ყოფილი უშიშროების სამინისტროს, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საგარეო დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური პოლიციის, აგრეთვე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამხედრო ან გასამხედროებელი ორგანიზაციების იმ მოსამსახურეების და მუშაკების, მათ შორის თადარიგში დათხოვნილების, /გადამდგარნი/ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ფორმირებებში ჩარიცხული იმ სამოქალაქო პირების - მოხალისეების ოჯახებზე რომლებიც:

ა/ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ;

ბ/ კონფლიქტურ ზონაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაცვისას მასზე დაკისრებული სამსახურებრივი უფლებამოსილების /მოვალეობის/ შესრულებისას დაიღუპნენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ;

2. ამ კანონის პირველ მუხლს დაემატოს მე-3 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

"3/ ამ კანონის მიზნებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტურ ზონას და საბრძოლო მოქმედების პერიოდს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი".

3. ამ კანონის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 4. კანონის მოქმედების სფერო.

ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში და კონფლიქტურ ზონაში სამსახურებრივი უფლებამოსილების /მოვალეობის/ შესრულებისას დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახების შემდეგ წევრებზე:

- ა/ შრომისუნარო მეუღლეზე და შრომისუნარო მშობლებზე;
- ბ/ მშობლებზე, რომლებსაც დაეღუპა ორი ან მეტი შვილი
- გ/ 22 წლის ასაკის მიღწევამდე და ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილებზე".

4. ამ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. ოჯახის წევრობის დამადასტურებელი მოწმობის ნიმუშსა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლება."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
სააკაშვილი

მიხეილ